

სიგლარა

მე შენ ვერ მიცნობ, პირშავო,
როგორი დედის შვილი ვარ,
ვხარობ მზითა და მთვართა,
ნახვით სამოთხის პირი ვარ.
სიტურფით არვინ მედრება
ალმასის ბეჭდის ღილი ვარ.

მგლურად შაჰმას რო მიპირებ
განა თუ ბაღის ხილი ვარ?
შენ ფულით როგორ მიყიდი,
ცისკრის ვარსკვლავზე ძვირი ვარ,
შენ ვერ მომივლი სიტყვაში,
ყველაფრით გამოცდილი ვარ.

მეუბნებოდი შავერთდეთ
ღმერთი გვიშველის მაღალი,
როცა მაცდინე იუდაე,
თურმე რას ფიქრობ მტარვალნი,
გულიდან შავი ნავთისავ,
პირიდან ენა შაჰარი.
სუყველაფერი წამართვი
ნეტა სიმართლე სად არი?
იქნება ღმერთმა მიშველოს,
არ გაგხდე შენი სათარი.

მე შენ ვერ მიცნობ, პირშავო,
როგორი დედის შვილი ვარ,
ვხარობ მზითა და მთვართა,
ნახვით სამოთხის პირი ვარ,
სიტურფით არვინ მედრება,
ალმასის ბეჭდის ღილი ვარ...

ბაზალელი გლეხი.



გურული ქალი. ნახატი ალ. ციმაკურიძისა.

ხალხური ლაქსი

(გოი ტიტის ძე ფავლენიშვილისაგან
გაგონილი ს. ქვემო-მაჩხანში)

ლაღისებრო, ლაღისებრო,
გაზრდილო ლერწამისებრო,
ზურგზედ ნაწნავი გაყრია,
დაწნული გაქვს ჯამბრისებრო.
წინადან შავი ქოჩორი,
შაკრული გაქვს ვარდისებრო,
შუბლი ტრიალ მინდორს გიგავს,
დაწერილი წიგნისებრო.
მასზედ მოსხმული წარბები,
გაწოლილი წალმისებრო,
თვალეები ირმის ტბას გიგავს
შიგ იხვი დაცურისებრო.
მას ქვევიდან, ქალო ცხვირი
ჩამოსხმული სანთლისებრო,
აქეთ იქიდან ლოყები,
საკმენჩია ვაშლისებრო.
აქეთ იქიდან ყურები
საკენეტი კაკნატისებრო.
შენი პატარა ტუჩები
სასუტია თაფლისებრო.
კბილეები კურმუხლოს გიგავს
და თეთრია სპილოსებრო,
ნიკაპი სამრეკლოს გიგავს
ზედ ზედაშე იკურთხისებრო.
გული და გულის ფიცარი
შეკრულია ხუროსებრო,
მას ქვევიდან ძუძუები
გამტკიცული გუნდისებრო.

X.

მეგობრებს

მეგობრებო, თავზედ მონას
რომ ეწყინა თქვენი ქცევა,
გეფიცებით მის მრუდე გზა
უეჭველად დაიქცევა.

დაიქცევა ისე მაგრა,
რომ არ დარჩეს ქვაც-კი ქვაზე
და მეც უკედ შემოვძახებ
მისვე კეთილ მომავალზე...

რაკი ცოტას დავისვენებ
ჩემ გუგულთა ბინაზედა,
ისევ მალე მოვბრუნდები
მაგ პირუტყვის ჟინაზედა.

პირ-ვარდიანს მეძახიან,
კეთილს, სათნოს თესლიანსა,

მაგრამ მაინც დავკრავ ნესტარს
გულ-ღვარძლსა და გესლიანსა.

რომ წამხდარ სისხლს განეშოროს,
შხამ-ბაღამი ამოღვაროს,
წმინდა წყაროს დაეწაფოს
და სწორე გზას დაეჩქაროს...

აქ მეც კი მყავს მაგისთანა
ერთი სულის ანაბარა,
აქმა-აქმას გაიძახის
უბედური წარა-მარა.

ნეტავი მას რას უშავებს
ან ქათამი და ან ცხვარი,
რა ანაღვლებს უღარდელად
თუ გაჰკვივის ვისმე ბლარი.

სულ თავს იკლავს, უბუზუნებს,
უტატანებს, უშტიალებს,
სისხლ წამხდარი, უსულ-გულო,
შხამით ივსებს გველურ თვალებს.

მე რო ეს მწყინს, დრო-ჟამ მოკმულს
არც მას მოსწონს ჩემი ქცევა,
აი დარდი! ამისი გზაც
უეჭველად დაიქცევა;

დაიქცევა ისე მაგრა,
რომ არ დარჩეს ქვაც-კი ქვაზე
და მეც უკედ შემოვძახებ
გამარჯვების მომავალზე.

შიო მღვიმელი.

ქიათურის გზა.
1916 წ.



გურული ქალი. ნახტა ალ. ჭკუაქურაძისა.



188

ეროვნული გიგლიორთქვა

„სახელოიანი“

(მცირედი რამ ამბავი)

მესამეგან:— ჩვენს გაზეთს ვიწრო წოდებრივი ანუ ჯგუფობრივი დანიშნულება არა აქვს. ერთად ერთი ჩვენი გაზეთია, რომელიც პირნათლად ემსახურება ფართე „საზოგადოებას“ და მტკიცედ აქვს გათვალისწინებული თვისი მოვალეობა მთელი „საზოგადოების“ წინაშე. „საზოგადოებასაც“ მონდობილი აქვს მხოლოდ ჩვენს გაზეთზედ თვისი ინტერესების დაცვა. რედაქციასაც თვისი დევნი და ლოზუნგები აქვს— მიაწოდოს „საზოგადოებას“ მხოლოდ საღის და გაწრთვნილი ჭკვა-გონების ნაშრომი. ამისთვის თქვენს წერილს, როგორც ჩვენთვის უცნობისას, ვერ მოვითავსებთ ჩვენის გაზეთის ფურცლებზედაო.

ეჰ, ესეც კი სხვათა შორის გამოვიდა!

მეტი აღარაფერი დარჩომოდა აფრასიონს,— იძულებული შეიქმნა იგი საკუთარი გაზეთი გამოეცა და არც დააყოვნა ეს.

ახლად გამოცემული გაზეთის მოწინავე წერილში სხვათა შორის იყო ნათქვამი: „მთელი „საზოგადოება“ საღათას ძილით არის შეპყრობილი. ამით სარგებლობენ ბნელი ძალები. მაგრად ჩაუქიდნიათ „საზოგადოებისათვის“ ბრტყალები და აფათურებენ თვის ჭუჭყიან ხელებს მის სულსა და გულში. ეს გარემოება გვაიძულებს ჩვენ გავილაშქროთ მათ წინააღმდეგ, მედგრად შევებრძოლოთ მათ და გაბედულად შემოვუძახოთ: შორს ბნელო ძალებო! თქვენ არა გაქვთ არა რაიმე უფლება ილაპარაკოთ და იმოქმედოთ „საზოგადოების“ სახელით! აქა ვართ ჩვენ ნამდვილი გულშემატკივარნი და ჭირისუფალნი თქვენგან აბუჩად აგდებული „საზოგადოებისა“ და ნებას არავის მოგცემთ იპარაპაშოთ მახედ

შემდეგშიაც, რათა დაიკმაყოფილოთ თქვენი ქვენა ზრახვანი და სურვილები. დღეის იქით ჩვენ ვლბულობთ ჩვენს თავზედ „ფართე საზოგადოების“ ხელმძღვანელობას და მისი ინტერესების დაცვას და მხოლოდ ჩვენ ვიქნებით მისი წარმომადგენლნი და მისი უფლებათა დამცველნი და სურვილების გამომხატველნი“.

რასაკვირველია გაზეთის ამ პირველ ნომერშივე იყო დასტამბული ყველგან უარტქმული აფრასიონის წერილიც. და ამით ჩაეყარა საძირკველი კრებაზედ დაბადებულ „სადავო საგნის“ გამორკვევას, ანუ, ვერედ წოდებულ, პოლემიკას, რომელმაც ცოტა დროს კი არ გასტანა!

პოლემიკა პირველად აფრასიონსა და მის გამარჯვებულ მეტოქის შორის სწარმოებდა. ხოლო თანდათანობით კერძო პირადულ მიმართულებას ჰქარავდა და იღებდა საზოგადოებრივ ხასიათს. ბოლოს „სადავო საგნის“ გამორკვევა გადაიქცა კიდევ სავალდებულოთ იმ ჯგუფთათვის, რომელთაც აფრასიონი და მისი მოწინააღმდეგე ეკუთვნოდნენ თვისი მსოფლმხედველობით. ორივე მოწინააღმდეგე ჯგუფის სასიქადულოდ უნდა ითქვას, რომ დაუზარებლივ და შეუდარებელი კეთილგინდისიერობით ასრულებდნენ თვის მოვალეობას. ჯგუფების არც ერთი წევრთავანი არ ჩამორჩენია თვის ამხანაგებს საზოგადო საქმეში. ყოველი მათგანი რაიმე საშუალებით იღებდა მონაწილეობას „სადავო საგნის“ გამორკვევაში. ვისაც წერილობით არ შეეძლო შეეტანა თავისი წვლილი საჯგუფო საქმეში, ის სიტყვიერად ამხნევებდა მწერლობაში დახელოვნებულ ამხანაგს: „ოლონდ იმისი ჯავრი ამომყარე, ოლონდ ის გაატრიზავე და მის ჯავრს ნუ შემაქმევ და რაც გინდა ის გადამახდევინეო“.

ეჭვი არ არის, რომ ამისთანა მუდარა ერთისა ფხასა და ხანდახან შხა-

სოლომონ გავის კავლი ტრაპიზონში

წარწერა სოლომონ მეფის ძეგლზე ქართულად ტრაპიზონში. (არის კიდევ წარწერა სხვა ენებზე):

განუქარცვა მე პირველი ქნილი სიკეთე და შევნიერება და მდებარე ვარ შიშველ დაგდებული საფლავსა ამასა შინა ტომისგან დავითისა შთამოსრული ბაგრატიონიძე არჩილისა.—

სრულიად იმერთა მეფე სოლომონ რომლისათვისცა ვსთხოვ ყოველთა მიერ შენდობასა. ფებერელის ხ. ქქს ქქს აქეთ ჩყიე.

მეფე სოლომონ დასაფლავებული არის წმინდა გრიგორი ნისის ეკლესიაში, კარების შესავალთან.— პანაშვიდი გადავახდევინეთ მღვდელ კონსტანტინე ლეფტერიადის და კონსტანტინე კაპიდის 16 აპრილს 1916 წ. სურათი გადავიღეთ სოლომონის ძეგლის 17 აპრილს 1916 წ.

პანაშვიდი გადავახდევინეთ: ივანე ბოლქვაძემ, ალექსი ანთაძემ, ვლადიმერ დანელიამ, კონსტანტინე გვასალიამ და გიორგი სანაძემ)

მსაც ჰმატებდა კალმის წვერს მეორისას.

მრავალჯერ მიტრიალ-მოტრიალებით ორ მოწინააღმდეგე ჯგუფთა შორის სრულის სიგრძე სიგანით გამოირკვა „სადავო საგანი“. მაინცა და მაინც საბოლოო დასკვნა ჰხვდათ ისევე აფრასიონსა და მის მოპირდაპირეს, მიუხედავით იმისა, რომ ბევრს აღარც კი ახსოვდა ის დრო, როდესაც ეს უქანასკნელი ერთ კრებაზედ თავმჯდომარეობდა.

პასუხის-პასუხის-პასუხის-პასუხის-პასუხის-პასუხისში აფრასიონმა თვისი დასკვნა მოპირდაპირის შესახებ ასე დაამთავრა: „თავი ფილთაქვას მიუგავს, ცხვირი ზურნასაო; ერთი თვალი ალთას მიუბრის, მეორე ბალთასაო; კბილები გარეული ტახის ეშვებივით გამოშვებია, ტუჩები გადმობრუნებული აქვსო; ხელები დაკოკილი აქვს, ფეხები ტაბოცს უგავსო; ტანით დაბალი და სქელია, ჭკვით კი მოკლეო და მისი მსჯელობაც მართოდ-მართო ლანძღვა-გინებაში გამოიხატებაო. ამისთანა არსება რა თავმჯდომარეობას გაუწევდა კრებასაო“.

მოპირდაპირის დასკვნა აფრასიონის მესახებ: „თავი ბუს მიუგავს, თვალები ჯოჯოსაო; კისერი ჭიკაყვალს უგავს, ცხვირი ქათმის ნისკარტასო; კანკები გველის ყლაპისავით დაპგრძელებია და ძილის დროს მისი ხრივა დღის სავალზედ ისმისო. ტანით აყლაყულა და ჭკვით კი ლილიპუტიო. და რა მსჯელობა შეუძლიან მას, თუ თავისებურ ხერხს— ლანძღვა-გინებას არ მიჰმართაო. სხვას კი უკიჟინებს ლანძღვასაო. ყველა ამის პატრონი თავმჯდომარეობას ეპოტინებოდა მრავალ-რიცხოვან კრებაზედაო“... მაგრამ რად ვაწუხებ ტყუილ-უბრალოდ მკითხველთ ამ ნიშუშების გამეორებით, როდესაც დარწმუნებული ვარ, რომ ყველას წაკითხული და გაცნობილი ექნება თავიდან ბოლომდის მთელი პოლემიკა ოო მოწინააღმდეგე ბანაკთა შორის ატეხილი.

IX

კერძოდ თვით აფრასიონს დიდი შრომა და მეცადინეობა დასჭირდა აღძრული საკითხის გამოკვლევასა და შემუშავებაში. ვინ მოსთვლის, რამდენი მწარე წუთები და ტანჯვა გამოი-

ერთივენი
ნიგლიოთიქა



ღ ე ღ ა.


არა ვიდრემდის სასურველად დაბოლოვებდა ნაისრ საქმეს. ეს კია, რომ დაუღალავმა შრომამ საკმაოდ გამოჯეკა იგი და თვალსაჩინოდ ამოატივტივა თანამოაზრეთა წრიდან. ძრიელ შორს გაიხმა მისი სახელი. მისმა „სახელოანობამ“ ათჯერ და ასჯერ გადააჭარბა მამისას. თუ აპალონს იცნობდნენ იქ, სადამდისაც მას ხმა მიუწვდებოდა, აფრასიონი გაიცნეს იქ, სადამდისაც საპოლემიკო გაზეთები ჰსწვდებოდა. მაგრამ განა ეს საქმარისი იყო აფრასიონისათვის იმ დროის მოთხოვნილებით, როდესაც იგი გამოვიდა სამოქმედო ასპარეზზე? არა და ათასჯერაც არა! იგი მიისწრაფოდა არაჩვეულებრივი „სახელოანობისაკენ“.

— ახლა როგორ-ღა მოვიქცე? ეკითხებოდა ერთხელ აფრასიონი თავისთავს—სახელოანობა ჩემი მხოლოდ დაიბადა. მას ამის შემდეგ ესაჭიროება ხელის შეწყობა, ზრდა, დავაყაყება, თორემ უამისოდ რას ეგვანება იგი. გაჩერება იმ წერტილზედ, რომელზედაც ახლა ჩემი სახელოანობა სდგას, ყოვლად შეუძლებელია. ამისთვის საგანგებო რამ საშუალება უნდა გამოიხანოს, ეს კი ძნელდება და თანაც გვიანდება. ვერ-ვერობით ერთად ერთი გზა მიჩანს—მამაჩემი გავტეხო და ჯვარ-მენდლების ტარება მოვაშლეინო. ეს თუ მოვახერხებ, მგონია

არ იქნება მცირედი ღვაწლი ჩემის მხრით საპროგრესო ასპარეზზედ და ამან დიდად უნდა ასწიოს ღირებულება ჩემი სახელოანობისა. რამდენადაც საძნელოა გადაბმნილი, გაფანტიკოსებული მოხუცის გარდაქმნა, პროგრესის გზაზედ დაყენება, იმდენად მეტად უნდა ამაღლდეს სახელი ამის მომქმედისა. ეს ასე იყოს დროებით მაინც. შემდეგისათვის კი თვითონ გარემოებანი მიკარნახებენ, როგორ უნდა მოვიქცე, რომ უმაღლეს წერტილამდე აღემალლოს ჩემი სახელი.

ყველა ამასაც რომ თავი დაეანებოთ, მეთაკილება, რომ ამისთანა პროგრესს ჩამორჩენილი პირი მამაჩემია და თუ ვერ მოვაშლეინებ ჯვარ-მენდლების ტარება, შეიძლება თავისი ჯიუტობითა და ქცევით ჩემს აწინდელ სახელოანობასაც კი მოსცხოს ჩირქი. მეტი გზა არ არის უნდა მივმართო უკიდურეს საშუალებას მასთან საბრძოლველად და მგონია კიდევ გასჭრას. მე პირდაპირ მოვთხოვ მას რომ, როგორც ყოფილ ლაქიას, არ აქვს ნება და უფლება ჰქონდეს და ატაროს ჯილდოები.

ბოლო ხანებში აფრასიონს აქეთ-იქიდან ჩააწვეთეს ყურში, რომ მისი მამა ომში წასვლამდის ლაქიობდა. მართლდაც და სანაქებო ლაქია იყო აპალონი თავის დროზედ და ლაქია-



სტეფანე გიორგის ძე ახმეტელიშვილი
„ მიიღო მრავალი პირველხარისხოვანი ჯილდო. ომში წავიდა კაპიტანის ხარისხით, ახლა უკვე პოლკოვნიკია.



ნესტორ გიორგისძე თოფურიჭე
მოკლულ იქნა ოსმალების ფრონტზე.

თაც გაჰყვა ომში ერთ წარჩინებულ პირს, ხოლო იქ მისმა ბედმა იმუშავა და ლაქიოაიდგან იგი „სახელოანობის“ სამეფოში გადაახტუნა. ახლაც კი არ უშლიდა მას „სახელოანობა“ თვისი უწინდელი ხელობა მოეგონა ძალითა და უფლებით აღტურვილ პირთა წინაშე. ამას აფრასიონიც ხშირად ამჩნევდა.

* *

აფრასიონის საბედნიეროდ გარემოებამ წინ უსწრო მას, ვიდრე იგი მოელოდა და უკარნახა მას ისეთი რამ საშუალება, რომელმაც პირდაპირ „სახელოანობის“ კოშკის მწვერვალზე შეასკუპა იგი და სრულიადც აღარ დასჭირდა მას შრომა მამის გადაქმნა-გაპროგრესისტობაში.

ხშირად დიდი საქმის წარმოშობი პატარა რამ გარემოება შეიქმნება ხოლმე. აფრასიონის მომავლის გაბრწყინებისათვისაც ასეთმა პატარა გარემოებამ იმუშავა.

თავის თავთან საუბრის შემდეგ ჯერ კრინტიც კი არ დაეძრა აფრასიონს მამის წინაშე, რომ ერთმა თანამოაზრეთაგანმა შეხვედრის დროს მიჰპართა მას: „მამაშენი რომ მამაჩემი იყოს, ჩემი ხელით გამოვჭრიდი ყელს, ისე მეზიზღება, იგი თავისი ჯვარ-მენდლებითაო“.

გულში ისარივით დაესო აფრასიონს ეს სიტყვები და დიდად შეურაცხყოფილად იგრძნო თავი თვისი. ხოლო შეურაცხყოფლად ჩასთვალა არა თანამოაზრე, არამედ თვისი მშობელი მამა და იმავე წუთში გადასწვიტა დაუყოვნებლივ შური იძიოს მისგან. ამ დროს აფრასიონი ისეთ გამოურკვეველ მდგომარეობაში იმყოფებოდა რომ სრულებით ვერ წარმოედგინათ, თუ შედეგი შურის ძიებისა ქეშმარიტ გზას გაუკვლევდა მას „სახელოანობისაკენ“.

პირველსავე ღამეს, როცა აპალონს თავისი მეუღლითურთ ერთად ტკბილად ეძინათ, აფრასიონი ადგა არხეინად, სრულიად დამზვიდებულის გულით ამოიღო ქარქაშიდან მამის ხანჯალი და ხელი არც კი აუკანკალდა ისე გ. მოსჭრა მძინარე მამას ყელი. შემდეგ მიჰვარდა კედელზე ჩამოკიდებულ ჩოხას, აავლიჯა ჯვარ-მენდლები და ზოგი აქეთ ისროლა, ზოგი იქით.

აპალონის ხრიალსა და ფართხალზე გამოეღვიძა მის მეუღლეს—აფრასიონის დედას, წამოვარდა ქვეშაგებიდან და, რომ გაიგო საქმე რაში იყო, შეჰკივლქ: „შვილო, ეს რა ჩაგიდენიაო“. შვილი კი ამის პასუხად მიჰვარდა დე-

დას, წაუჭირა ყელში და დაახრიო ისიც.

მეორე დღეს აფრასიონი დამზვიდებულისავე გულით წა'რდგა, სადაც ჯერ იყო და გამოაცხადა: „ქვეყნიურებას თავიდან მოვაშორე ორი უსაშინველესი მტარვალიო“.

X

მართლმსაჯულებას აფრასიონი თავისავე ნებით გარდაეცა და ამისათვის ადვილად გაანთავისუფლეს თავმდებობით საქმის გარჩევამდის. საქმის გარჩევასაც არ დაუგვიანია. შედარებით ძრიელ ჩქარა დაიწყო საქმის გარჩევა და აფრასიონიც სრულიად გამართლდა დანაშაულობისაგან, რადგანაც აუარებელმა მოწმეებმა ფიცის ქვეშ და მტკრმეტყველმა ვეჯილებმა „უტყუარის“ საბუთებით თვალსაჩინოდ და აშკარად დაუმტკიცეს მსაჯულებს მის მიერ დახოცილ მშობელთა ავკაცობანი: მეზობლებისადმი უდიერი მოპყრობა, ტაციაობა, უმწეო ადამიანების დაჩაგვრა და საზოგადოდ ზომას გადასული მტარვალობა მათი.

გამართლება არ ახარებდა აფრასიონს ისე, როგორც შეგნება მისი რომ ბედნიერ გარემოებათა—დედამამის დახოცივისა და განსამართლებლის—წყალობით გაზეთებმა მოჰფინეს მახედ ცნობები იქაც, სადაც ეს ვერ შეიძლებს პოლემიკურმა გაზეთებმა. მამასადამე მისი სახელი უფრო შორს განხდა და განხდა არა როგორც უბრალო პოლემისტიკა, არამედ როგორც მტარვალთაგან ქვეყნიერობის მხსნელისა. „დიადი იდეა დიდსა და განსაკუთრებულ მსხვერპლსაც მოითხოვს თვისი განხორციელებისათვის. რა ფასი სძევს თუნდაც მშობელთა სიცოცხლეს იქ, სადაც კითხვა დასმულია დაჩაგრულთა ხსნაზედ? ეს საკითხი დიდის ცოდნითა და მოხსენებით დასვა და ძრიელ ადვილადც გადასჭრა ქვეყნიერობის საბედნიეროდ მხოლოდ აფრასიონ გვარაძემ“.

ასეთი იყო გამოძახილი აფრასიონის შეურყეველი რწმენისა, რომ თვისი დედამამის დახოცივით მან იხსნა ქვეყნიერობა მტარვალთაგან. ბოლო თვით აფრასიონს ისე კი არ ესმოდა ეს გამოძახილი, როგორც მისი გულიდგანვე ამონავალი, არამედ—როგორც გამოძახილი ყოველი მხრიდგან, სადამდისაც მიეღწევა მის სახელს. აი კიდევ ეს გამოძახილი იყო, რომ საამოდ აქლერებდა მისი გულის გრძნობათა სიმებს.



ამიერ კავკასიის მომხმარებელ საოჯახოობათა კავშირის დამფუძნებელი კრება.

* * *
სხვა უიმისო იქნება კიდევ დაკმაყოფილებულიყო იმ ნაყოფით, რაც აფრასიონმა უკვე მოიმკო და მისცემოდა შვიტბასა და განცხრომას, მაგრამ აფრასიონმა ეს ნაადრევად ჩასთვალა და მორჩილებითა და გატაცებით მისდევდა იდუმალ ძახილთ თვისი გულისას, რომელიც მისი ახლობელი ამხანაგობის მოწმობით სურვილთა ზღვას წარმოადგენდა. ხოლო თუ აფრასიონის თავის თავთან საუბარს ჩავუყვირდებით, დაერწმუნდებით, რომ აბობოქრებულ ტალღას ამ ზღვის ზედა პირზედ იგივე „სახელოანობის“ სურვილი მიაგორებდა.

საზოგადოდ თავისთავთან ბაასი ყოველი განზრახული მოქმედების წინ აფრასიონის არსებითი თვისებას შეადგენდა. და აი ახლაც როგორ ბაასობდა თავის თავთან: „სახელი მოვიხვექე მართალია, მე ველარავინ წამართმევს ამ სახელს, მაგრამ ნუ თუ ამითი უნდა დავკმაყოფილდე? ეს საკმარისი არ არის ჩემთვის. და ვერც მოვიტმენ, რომ შეჩერდეს სახელოანობა ჩემი ერთ წერტილზედ. უნდა იზარდოს იგი განუსაზღვრელად და მტკიცედ დამყარდეს ყოველგან“. ამისთვის „გამოძახილს ყოველი მხრიდგან“ მან უპასუხა მითი, რომ თვითონაც გამოაცხადა თავი თვისი ჩაგრულთა მფარველად და უპატრონოთა პატრონად“. ხოლო, რადგანაც იმ ქვეყანაში, რომელსაც აფრასიონი ეკუთვნოდა თვისი დაბადებით მტარვალთა მოსპობით ყველანი ბედნიერ ჰყო და ყვე-

ლაფერი მოავგარა სურვლისამებრ, მან გადაიტანა და მომეტებულადც გააძლიერა თვისი მოქმედებანი სხვა ქვეყნებში, სადაც მტარვალნიცა და ჩაგრულ-უპატრონონიც ბლომად მოიპოვებოდნენ.

ქვეყნიერობის რომელ კუთხეშიაც უნდა ყოფილიყო დაჩაგრული ადამიანი: ბედისაგან იქნებოდა იგი დაჩაგრული, ძალმომრეობით, თუ უსამართლობით—სულ ერთი იყო აფრასიონისთვის; თუ კი გაიგებდა ამას, დაუზარებლივ და დაუყოვნებლივ გაექანებოდა იგი იქითკენ.

თუ ვინმე ამ დროს მიჰმართავდა მას კითხვით: „ნუ თუ იმ ქვეყანაში, სადაც შენ შობილხარ და გაზრდილხარ, არ მოიპოვებიან გაჭირებულნი და არ ჰსაჭიროებენ შენს შველასა და დახმარებას, რომ სხვა მხარეს მიეშურები სხვის საშველადო“. ამისთანა კითხვის გაგონებაზედ აფრასიონი გაიღიებოდა, რაშიაც იხატებოდა მისი სიბრალული მკითხველის შეუგნებლობასა და თავხედობაზედ და უპასუხებდა: „აქ უკვე მიცნობენ. ხოლო ეს ცნობა შემოზღუდულია ძრიელ მცირედი ქვეყნისა და ხალხის წრითა და და ეს კი არ არის ჩემთვის საკმარისიო“.

XI

ერთხელ ასეთი სურათის მნახველი და მომქმედი პირიც გახდა აფრასიონი. მიჰქრის იგი დავრდომილთა და გაჭირვებულთა საშველად, თვითონაც არ იცის საით. მაგრამ ამ შემთხვევაში უთუოდ ბრძა ალლოთი ხელმძღვა-

ნელობდა. აი მიაბჯინა თითქმის თვისი უკანასკნელი ლაჯი უცხო მხარეს, რომ დაინახა ამ უცხო მხარიდან თვისკენ მომავალი ადამიანი ძველი გაბედრანგებული ჩოხითა და ასეთივე შალვრით, წოწლოტინა და გაფხეკილი ტყავის ქუდით და ჯღანა ქალმებით. მას ხელი ხელთან მიეტანა მუცელზედ ქამართან, იღლიაში თავმოტეხილი კომბალი ჰქონდა გაკეთებული, მარცხენა მხარზედ ცარიელი, მხოლოდ მაგრა პირ-მოკრული თვლებით პატარა აბგა-გურჯინი გადაეკიდნა და მოიზღაზნებოდა ისე, როგორც სამი დღის მშვიერი. აფრასიონი შეაყენა მომავლის სურათმა. ხოლო მომავალი იკრებდა, რაც კი ძალ-ღონე ჰქონდა, მოფიქრებასა და გამბედაობას, რომ გული მოეღბო თვისდა საშველად აფრასიონისთვის. მაგრამ აფრასიონმა არც კი აცალა მას ბაგე ვაგხსნა სათხოვნელად, ორივე ხელი გულზედ მიიწყო, წელში მოიხარა და შორიდანვე დაუკრა თავი სწორედ ისე, როგორც ოდესღაც აპალონი შერებოდა ამას ძლიერთა წინაშე და მიჰმართა: „მობრძანდი, მობრძანდი ბატონო! შენთვის და შენიანებისთვის ჩვენი გული და კალთა ფართოთ გაშლილია“.

კოტა არ იყოს, მომავალი შეკრთა, ნაბიჯს უკლო და სათხოვნელად გამზადებული დაეთრებიც სულ ერთიანად დაუფანტა მას აფრასიონის საქციელმა. რა შეატყო ეს აფრასიონმა გაუმეორა გასამხნეველად: „მობრძანდით და მიიღეთ მიწა-წყალი, რომელიც გაწმენდილი და განთავისუფლებულია მტარვალთა ხელიდგან და

იმფლობელთ მათზედ“. კოტათი გამხნეველი და დიდად გაქვავებული ბული მომავალი ეკითხებოდა: „ვიცნობ?“ მაგრამ აღარ აცალა აფრასიონს და პასუხი თვითონვე მისცა თავის თავს: „ჰა... ვრაც!“ და ჩაიცივნა უღვაშებში. აქ კი გასწორდა წელში, ჯოხი გამოიღო იღლიდგან, მაგრად დააბჯინა მარჯვენათი და ფეხიც გაღმოსდგა ახალ ქვეყანაში. ხოლო აფრასიონმა, წელში უფრო მოხრილმა, ალტაცებით და დიდის გულუხვობით აღსავსემ გაუმესამა: „მიიღეთ, მიიღეთ, ბატონო, და იმფლობელთ! რად უნდა ყოფილიყო ანუ იყოს ეს მშვენიერი ქვეყანა სოსიკასი და არა ოსეფასი!“... განა ეგეც იცოდი, რომ ოსეფა მქვიან? ჰკითხა გაკვირვებულმა და თანაც დაატანა—რა სახელოვანი კაცი ჰყოფილხარო!


ამ უცაბედითმა ერთი-ერთმანეთის ვინაობის გამოცნობამ ორივეს სიამოვნების საგეე ფიალა შეასვათ და „ოსეფამ“ ამაყად წარმოსთქვა: „ჰა, რა ბევრი რამეები მომაქვს თქვენთვის! აი ხო ჰხედავ ხურჯინი სავსეა? დიდი განძეულობა მომაქვს თქვენთვის. რა ხერს ჰნახავთ და!“ ხოლო „სახელოანმა“ ისევ თავმდაბლად უპასუხა: „თქვენ მიიღეთ ყველაფერი ჩვენგანით, ჩვენთვის არაფერია საჭირო: არც მიწა, არც წყალი და არც რაიმე განძეულობა, ოღონდ ის მოწყალება მიიღეთ ჩვენზედ, რომ ყოველთვის „კეთილ მეზობლებად“ გვიწოდებდეთ და გვიგულბდეთ; თუ ვინცოდა არის ვინმე ჩვენგანმა გაწყენინოთ, ამას ნუ ჩასთვლით მეზობლური განწყობილების დამარღვეველ მიზეზად და ნუ გაგვიწყრებით; ჩვენვე გვაცალეთ ამისთანა თავხედის ღასჯა და თქვენი სავსებით დაკმაყოფილება. ყოველ ამაში მხოლოდ ჩვენ მოვთხოვთ, რომ ნება გვქონდეს თქვენგანით თავისუფლად ვიოცნებოთ ჩვენს ბრწყინვალე მომავალზედ, ამის მეტი ჩვენთვის სხვა არაფერია საჭირო“—ბაშუსტაო, მიუგო ოსეფამ და გააგრძელა გზა გაორკეცებული მხნეობით.

მელანია.

(შემდეგი იქნება)



ალ. სუმბათაშვილი (იუჟინი), შარტი მ. კიაურელისა.



ო. ი. შლინგ-

მოსწავლეების დათხოვნა საზაფხულოდ და მათი „ხელმეორედ გამოცდების“ ტვირთი.